

25 მაისი, 1918 წლისა.

წელიწადი პირველი.

ფასი ნომრისა 80 კაპ.

ახალი

სიტყვა

ახალი

№ 5

ორკვირეული შურნალი.

№ 5.

შევდები № გამოვა 31 მაისს.

მიიღება ხელის მოწერა სასულიერო ათა-
ვრობისადან დამოუკიდებელ ორკვირეულ შუ-
რნალ „ახალ სიტყვაზე.“ შურნალის მიზანია
ჩვენის ეკვლების ცხოვრების განახლება წმ.
სახარების ნიადაგზე და ბრძოლა უსამართლო-
ებასთან და ფარისექლობასთან სასულიერო
უწყებაში.

ხელის მოწერის ფასი ნახევარის წლით
ცხრა მანეთია. ცალკე ნოვერი ოთხი აბაზი.

რედაქცია სთხოვს სამრევლო საბჭოებს,

შეგნებულ სასულიერო და საერო მორწმუნე
პირთ დახმარება აღმოუჩინონ მას უურნალის
გამოწერით და ერთ-დროული შემოწირულე.
ბით სარედაქციო ფონდისათვის.

ფული შიიღება რედაქციის მოლარე დეკ.
ანტონ თოთიბაძესთან: ტფილისი, სიონის ტა-
ძრის აზოში.

სარედაქციო მასალები და წერილები
უნდა გამოიგზავნოს სარედაქციო კოლლეგი.
ის რწმუნებულ მღ. ქრ. ციცქიშვილთან:
ტფილისი, კაბეგროვის ქუჩა, № 47 რედა-
კცია იმავე ქუჩაზე: № 51.

რედაქციისაგან.

„სორაპნის“ სტამბაში მუშობის მოუ-
ლოდნელად შეჩერებისაგამო მეხუთე ნომერი
შურნალისა დანიშნულ დროზე ვერ გამოვიდა.
სამაგიეროდ განხრახულია № 6 დაიბეჭდოს
31 მაისს.

რესპუბლიკა და ჩვენი ეკლესია.

როგორც ვიცით, ამ დროებით ამიერ-
კავკასიის თუ ერთობ კავკასიის რესპუბლიკის
კონსტიტუციის პროექტი იწერება, რომლის
საბოლოოდ ჩამოყალიბებული შინაარსი თვით
შემდგენლებისათვისაც ჯერჯერობით გამორ-
კვეული არ არის. მიმდინარე ისტორიულ გა-

რემოებათა ყოველ წერილმანსაც კი გავლენა
ექნება ამ პროექტზე.

მაგრამ ერთის თქმა კი დღესაც გადაჭრით
შეიძლება: თავის მოტყუება იქნება, თუ ვი
ფიქრებთ, რომ ვითომ სეიმისგან და თუ გინდ
მოელ კავკასიის ერების სურვილისგან დამო-
კიდებული იყოს, თუ რანაირი, რომელ ფა-
რგლებში და რა შემადგენლობის რესპუბლიკა
დამყარდება ჩვენში და რა ზომის კონსტიტუ-
ციაზედ აშენდება იგი. ამის ძირითად დებუ-
ლებათა შემზღვეველი თუ, პირიქით, გამა-
ფართოვებელი მიზეზები ბევრია, რომელთა
გათვალისწინები დღეს ყოვლად შეუძლებელია,
რადგანაც ამ საქმეში უპირველესი მნიშვნე-
ლობა ექნება იმ საერთოშორისო ურთ-ერთო-
ბას, რომელშიაც მოჰყვება ჩვენი ქვეყანა დღე-
ვანდელ მსოფლიო ომის დასასრულს.

თუ მრავალნაირ შესაძლებლობათა შორის შხოლოდ საუკეთესოს ვიგულისხმებთ, მაშინ უნდა წარმოვიდვინოთ ორი უმთავრესი, დანარჩენებზე უფრო სავარულო სახე ჩვენის მომავალ რესპუბლიკანურ მართვა-კამპენიასა: ა) საერთოდ კავკასიის თუ ამიერ-კავკასიის ინტერნაციონალური და ბ) წმინდა ეროვნული, კერძოდ საქართველოს საზღვრებში ქართული.

ორსავე შემხვევაში შედეგი ეკლესიისათვის უკეთესად ერთი და იგივე იქნება: რესპუბლიკა, როგორც სახელმწიფოს ფარგლებში ყველა მცხოვრებთათვის სავალდებულო ფორმა საზოგადო ცხოვრებასა, და იკლესია, როგორც თავისუფალ მორწმუნება კერძო კავშირი, ერთი მეორისაგან განცალკევდებიან ან, უკეთ ვთქვათ, ეკლესიას კანონმდებლურად გამოჰყოფენ სახელმწიფოსგან. სახელმწიფო თავიდან მოიხსნის ყოველსავე მჩრუნველობას ეკლესიისადმი და ეკლესიაც შხოლოდ იდენად დაემორჩილება სახელმწიფოს წესებს და სურვილებს, რომ არ დაირღვეს მოქალაქის სახელმწიფოებრივი უფლებანი. ყოველი სხეული უთიერთობა, და მათ შორის ფინანსურიც შეწყდება.

ეს მოხდება რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცბის პირველსავე დღეებში, თუ რესპუბლიკა ინტერნაციონალური იქნა. ხოლო თუ საქართველოში ეროვნული რესპუბლიკა დაწესდა, ადვილად შესაძლებელია, რომ ერთა პრივი დასდევას განახლებულ ეკლესიის ბრძოლით მოპოვებულ ნორჩ თავისუფლებას და პირველ ხანებში ფინანსიური დახმარება მაინც აღმოუჩინოს თავისს ეკლესიას. მეტეც არის მოსალოდნელი. შეიძლება, — და ჩვნ გვრჩებას, რომ ეს ასეც მოხდება, — რესპუბლიკანურ ორგანიზაციის უმცრესმანაშილმა, ჩვენმა გლეხობამ, გაღაჭრით განცხადოს და განახორციელოს, რომ იმ მრავალ ზარალისაგამო, რომელიც მიაყენა ჩვენს ეკლესიას წარსულმა რეზიმმა, არ მოუსპოს სახელმწიფომ ქართულ ეკლესიას ქონებრივი შემწეობა საერთო თანხებიდან საჭირო კრედიტის გახსნის სახით. მაგრამ ღრმად დარ-

წმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ ეს „მოწყვალება“ სწორედ რომ მოწყალება და დროებითი იქნება, რომელსაც პარლამენტის შემდეგი სესიები უსათუოდ მოუღებს ბოლოს.

ამნაირად, რანაირი რესპუბლიკაც უნდა დამყარდეს ჩვენში, ეკლესია მაინც ხვალ-ზევსი საკუთარ ძალა ანაბარა დარჩება. ფინანსობიური ბუნებრივია, რომ ჩვენ, ეკლესიის მოყვეთებს, გვირჩევნია რაც შეიძლება გვიან დადგეს ის „განკითხვის დღე“. მაგრამ თვით ეკლესიის მომავალისთვის გაცილებით უმჯობესია, რომ ახლო მომავალში აუცილებელი განცალკევება ჩვენს ღრმაში მოხდეს, რადგანაც ერთს დღევანდელი სულიერი განწყობილება დიდად შეუწყობს ხელსა სახელმწიფოსგან ჩამოშორებულ ეკლესიის წესიერად მოწყობას, რაც გაცილებით უფრო ძნელი იქნება მაშინ, როცა აწინდელი შთაბეჭდილება და რელიგიური განცადა შეიცვლება ან გაივლის.

ეკლესიის ზოგიერთ გულითად მოკეთებს ჰგონიათ, რომ ეკლესიას სახელმწიფოსთან გამოყოფა დიდ ზიანს მიაყენებს ეკლესიას. მაგრამ ეს შემცდარი აზრია ან, უკეთ ვთქვათ, წააგავს იმ მოსიყვარულე დედის ფაქიზ გრძნობას, რომელსაც სურს, რომ მისი სათაყვანო პირმშო მუდამ პატარა იყოს, და ეშინა, ვაი თუ ჰასაკობაში ხასიათი იცვალოს. როგორც გულის თვილსაზრისით კანონიერია, მაგრამ ბუნებრივად შეუძლებელია განხორციელდეს ეს სურვილი, აგრეთვე ძნელია, რომ დღევანდელ განათლების საფეხურზე დმგომ კაცობრიობის დემოკრატიულმა სახელმწიფომ და თავისუფალმა ეკლესიამ ერთად, უფლება-გადახლართულად იარსებონ. ისინი ნება-უნებურად უნდა გაიყარნენ, ოღონდ უმტკივნეულოდ და მეგობრულად, როგორც ბრძანა მაცხვარმა: „მიეცით კეისრისა კეისარს და ღმრთისა ღმერთსა.“

თუ ეს დიადი პრინციპი გონივრულად იქნება დაცული, სახელმწიფოს და ეკლესიის განცალკევება არამც თუ არაფერ საშიშს არ წარმოადგენს ეკლესიისათვის, ბევრ რამეში, პირიქით, მარგებელიც კი იქნება, როგორც ამას დავინახავთ შემდეგ წერილიდან.

შდვდ. ილ. შუბლაძე.

ეროვნობა და სარწმუნოება.

სარწმუნოება შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ ორით: 1, როგორც შინაგანი ინტიმური სულის განწყობილება—ცხოვრები და 2, როგორც განყენებული ანუ თეორეტიული წყობა ფილოსოფიურ და ღვთისმეტყველურ ცნებათა. უკანასკნელი მხოლოდ „განყენებაა“, „ზე-შენობა“ ანუ რეგლამენტია შინაგან რეალურ სარწმუნოებრივ განცდათა; იგი არ გამოხატავს თვით სარწმუნოებრივ ცხოვრებას; — იგი მხოლოდ უფერული ლანდი ანუ უსიცოცხლო აღნუსხვაა ცხოვრემყოფელ სარწმუნოებრივ განცდათა სფეროსი. ღვთის-მეტყველება ყველა თვის სახეებით და სხვა თეორეტიული ნაშენობებით გარეგნული, შეყინული ფორმაა-კრისტალია ამ განცდათა სფეროსი და მათ მხოლოდ მერმინდელი მნიშვნელობააქვთ. უკანასკნელთა თვის იგინი წარმოადგენენ იმასვე, რასაც წარმოადგენს გრამმატიკა კოცხალი ენისთვის. ისინი იბადებიან მხოლოდ შაშინ, როდესაც სირწმუნოებრივი განცდანი ჟკვე არსებობენ. ენა კი არ იქმნება გრამმატიკით, არამედ გრამმატიკა ენის შემდეგ. როდესაც ვითარდება ენა, გრამმატიკა მორჩილად სდევს მას უკან („შედარება Fieldind'-ისა).

მაშასადამე პირვანდელი მნიშვნელობა სარწმუნოებისა თვით მის განცდაშია; სარწმუნოება.—ვით ცხოვრება—განცდაა, გარკვეული შინაარსისა და თვისებებისა და როგორც „მობინავე“ განცდათა სფეროში, იგი მუდამ კოცხალია, მუდამ ახალი და თანამედროვე, და მასთან ცვალებადი თვისი განსახიერებით და შემოქმედებით, როგორც კოცხალია და მასთან ცვალებადი და შემოქმედია თვით განცდათა სფერო.

თვით სახარება არ წარმოადგენს განყენებითს სისტემას ანუ ფილოსოფიას. იგი მხოლოდ უზენაესი რელიგიური განცდაა ღმერთკაცის ბუნებისა, სიტყვიერად გადმოცემული და აღნუსხულ—აღწერილი ქრისტეს და მის მოციქულთა მიერ. ცნობა ღვთისა და დამოკიდებულობა მასთან იფლობიან და ღხვებიან ერთს დრმა განცდა-ჭვრეტაში, რომელშიც უმთავრეს როლს თამაშობს უსაზღვრო შვილის გართიშიოს ნაციონალურ და ინდივი-

ლური გრძნობა ინტიმურიდ ჟკვე ცნობილი მამასთან. ამ განცდა-შემეცნებით „მამისა“ სრულიად კმაყოფილდება სული, რაღანაც მასში მოცემულია რული ჭ შპარტი ცხოვრება და იგი მთლიანი რეალურ განცდა შემეცნება თვით აბსოლუტური ჭეშმარიტებისა, რომელშიაც, როგორც აბსოლუტურში, ცხოვრემყოფელდება და ორგანიზაც დუღდება მშრალი გონებრივი ღიუვერენცია რელიგის ცნებათა-დოგმატებად, ზნეობად და კარნად, როგორც ადმიანის უსრული ენათ სისტემატიურად იღწერილი და გადმოცემული შინაგან სულიერ განცდათა.

მაგრამ ადამიანის პისიც მისი „განცდათა სფერო“, სადაც „ბედობს“ სარწმუნოებრივი ცხოვრება, დაუსრულებლივ ინდივიდუალურნი არიან, როგორც დაუსრულებელია ინდივიდუალობა თვით ბუნებაში. სულიერი ცხოვრება, tabula rasa—გარკვეულ შინაარს და თვისებებს მოკლებული, სინამდიღებული არ არსებობს. სინამდიღებული არსებობენ მხოლოდ კონკრეტული ინდივიდები („კონკრეტული კაცი“, „კონკრეტული ერი“), ისე როგორც კონკრეტულად არ არსებობს სიერთო საკუთხით კულტური, კოსმოპოლიტიზმი და მათ მაგრერ არსებობს მხოლოდ წყობა ანუ ჯგუფი ნაციონალურ კულტურათ, რომელთა უსრალო „ჯამი“-ც შეადგენს სიერთო საკუთხით კულტურას. აქედან ადვილი გასავებია, რომ რელიგიური ცნებანი, როგორც აბსოლიუტურ ხასიათის მქონენი, რომელნიც თვისი ბუნებით საყოველთაო უნივერსალური ხასიათისანი არიან—„ზეპიროვნულნი“ და „ზე-ეროვნულნი“, რეალურად ხორციელდებიან მხოლოდ ინდივიდუალურ პისიცაში და მაშასადამე პისიცობიურის აუცილებლობით მრავალფერდებიან პიროვნების, ეროვნების და სხვა ფაქტორებში. ადამიანთა დაუსრულებელი ინდივიდუალობა და მრავალ-სახეობა არის გარეგნული ფორმა, „სხეული“, რომელთა შემწეობითაც უნივერსალური იღებს კონკრეტულ სახეს და ხდება „ხილულად“. უამისოდ იგინი განყენებულ და, მაშასადამე, მკვდარ არიან. ადამიანის რეალურ ცხოვრებას არ მალუძს გართიშიოს ნაციონალურ და ინდივი-

დუალურ ჩარჩოებიდან. ამ ჩარჩოებში თავსდება და იზღუდება ყველაფერი ის, რითაც კაცობრიობა სცხოვრობს: მეცნიერება, ხელოვნება, კულტურა და სხვ... ამიტომ სრულიად სამართლიანად არსებობენ თერმინები; ინგლისური ფილოსოფია, ფრანგული პსიხოლოგია, გერმანული კულტურა, მეცნიერება და სხვა...

აქედან, თვით ქრისტიანობასაც — როგორც გარკვეულ პრინციპთა წყობის, რომელსაც, ჩვენის მრავალმისით, აბსოლუტური და უნივერსალური ხასიათი აქვს და რომელიც ამ მხრით სრულიად ისტორიის გარეშე სდგას, — თვისი რეალიზაციით „ხორც-შესხმაში“, ნამდვილი ისტორიული ფაქტია და ამიტომ ფატალურის აუცილებლობით ემორჩილება თვით რეალურის ისტორიულ პროცესს, რომელიც, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, უეპველად მომწყვდეულია და მიმდინარეობს ნაციონალურ-ინდივიდუალურ ფორმებში.

ეროვნება ანუ ცალკე ინდივიდუუბი პსიხოლოგიურად მეტის-მეტად რთული მოვლენანი იჩიან და ფრიად ძნელია გარკვევა და ოღნებსხვა მისი, თუ სად თავდება „უნივერსალური“, „ზე-ეროვნული“ და „ზე-პიროვნული“ და სად იწყება ნაციონალური ანუ ინდივიდუალური. ამისთვის საჭიროა აუარებელი, ეტნოგრაფიული, ანტროპოლიგიური და და სხვა სახის მასალის დაგროვება და მისი პსიხოლოგიური ანალიზი. საქმე რთულდება უფრო იმით, რომ არც ერთი ერი, როგორც ახლა სამართლიანად ცნობილია, არა არის „წმიდა“, შეურეველ ეროვნული სისხლის და „სახის“ მეონე, და, მაშისადამე, საკითხის მათემატიკური სისწორით გარჩევა შეუძლებელია არსებითად. შეიძლება მივუთითოთ მხოლოდ „ზოგად“ ეროვნულ თვისებებზე სარწმუნოების ეროვნულ ფრადებზე, კოლორიტზე.

თავისი მხრით, ეროვნება არ არის უზრალო აზგრევატი (გროვა) ანუ ზოგადი „ჯამი“, ინდივიდუალურ პირ თენდენცია, რომელიც შეკაეშირებულ არიან მხოლოდ გარეგნულად ანუ სახროთ შეზოვევით და გარდამავალი ხასიათის ინტერესებით; იგი არც პირდაპირი

გროვაა „ფენომენიურ ჩვენებათა“, უნდა შემაერტყებელ „სულს“ მოკლებული. ეროვნება, უპირეველესად ყოვლისა, არის ერთი მთლიანი, შემოქმედი „მე“-ს მატარებელი ინდივიდუუბი, რომლის პისტიკაშიაც, როგორც დიდს ზღვაში, თავსდება და ერთდება ცალკე პიროვნებათა ინდივიდუალური მრავალფეროვანობა; უკანასკნელი არის მხოლოდ მრავალმხრივი განსახიერებანი ანუ მატარებელნი ერთის მთლიანი ეროვნული „სულისა“ ანუ „ფიზიონომიისა“, რომელიც გამოიხატება საერთო მსოფლმხედველობაში, ხასიათში, ენაში, ტრადიციებში, ისტორიაში და სხვა წერილმან ეთნოგრაფიულ თვისებებში. ეს ეროვნული „მე“, „სული“ ჩვენ არ მიგანია მეთაფიზიკურ სუბსტანციად — კონკრეტულ არსებობის გარეშე. ეს ეროვნული „სული“, ჩვენი შეხედულობით, იქმნება „ემპირიოიდის“ სამეფოშივე სხვა და სხვა გეოგრაფიულ, კლიმატიურ, პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიურ და სხვა ფაქტორთა ზედგავლენით, რომელიც ეროვნულ სპეციალიურ თვისებასთან ერთ-დ დუღილი ჰქონიან ისტორიულ პროცესის თანდათან მცდლლობაში ერთს ინდიდივიდუალურ ეროვნულს „სახეს“. ეს ეროვნული „სული“, მცორე მხრით, არც უხეში, თითოთ საჩვენებლი „რეალობას“ ყრუ და უხილავი დასახამში, ეროვნული „სული“ იქმნება და იდურჩენება თანდათან ისტორიულს პროცესში. ჩვენ ჩეცდევლობაში გვაქვს ის ეს ისტორიულად შემუშავებული, განსახიერებული და ჩემოყალიბებული ეროვნული „სული“, როგორც ისტორიული ფაქტი და მასთან ერთათ უძლიერესი ისტორიული ფაქტორიც, რომელიც ფატალურის აუცილებლობით ჰქანავთ, როგორც მაგალითი არის საზღვაო და გავლენის გრძილებით; მის საზღვაოს და გავლენის გრძილებით ისეთი ნაკოდნი ადამიანის სულის შემოქმედებისა, რომელთაც, ერთის შეხედვით, კომპონლიტური ანუ უნივერსალური — „ზოგადი“ სახეები აქვთ, როგორც, მაგალითად, კულტურა, ხელოვნება, მეცნიერება და სხვა... ამტომ, თუმცა ყოველს ერს აქვს „ზოგადი“ საკურარო დევები — მეცნიერული, ესი ერთი, ზნეობრივი და სხვა, რომელიც უნ-

კერძოდ ხასიათისანი არიან, მაგრამ ეს იდეები ამავე დროს ისახებიან განცალკევებულ, ინდივიდუალურ, მხოლოდ ამ ერის კუთვნილ ორგანიულ პირობებში და ყოველსავე მათ იგი ჰქონდავს თავისი ნაციონალური სახით და ასე ჰქონის თავისი ნაციონალურ კულტურას.

ამ პსიხოლოგიურს კანონს ემორჩილება სარწმუნოებაც. აფორიზმი— „როგორიც ადა მიანია, ისეთივე მისი ღმერთიც“— ხშირად უსაფუძველო ცალკე პიროვნების მიმართ, უფრო სამართლიანად ითქმის მთელი ერის, ხალხის შესახება, მეტადრე მაშინ, როდესაც იგი თვითონვე არის შემოქმედი თავისივე სარწმუნოებისა (მაგალ. წარმართული რელიგიები, რომელიც ღრმად ნაციონალური არიან თვისი შინაარსით და განსახიერებით, როგორც სარკენი ეროვნული იდეალებისა). როგორც ყოველი ერი ჰქონის თავის ეროვნული ფერადებით შედგილ კულტურას, აგრძოვე იგი ჰქონის თავისისავე ეროვნულ სარწმუნოებას. „ორი ეროვნება ვერასოდეს ვერ გასცვლიან ურთიერთს. შორის ერთნაირს სარწმუნოებასა“ (მეწისი, რელიგიათა ისტორია, გვ. 320). მაგალითები რელიგიური სინკრეტიზმისა უქმველად გულისხმობენ არა უბრალო მექანიკურ გადაღების, არამედ ერთნაირს ასსიმილიაციას, ორგანიულ პროცესს. ახლად მიღებული სარწმუნოებრივი სხივები უქმველად სჭრეტენ ნაციონალურ პრიზმებში და იღებენ ნაციონალურ ფერადებს; იგინი უნდა შეუსისხლორცლენ ეროვნულს სულს და ამიტომ გაიარონ ერთნაირი ქიმიკური პროცესი. ყოველი ერი პსიხოლოგიური კანონის ძალით—აპპერცეპციით—ითვისებს ახალს იდეებს, ცნებებს, მოვლენებს განსაზღვრული თვალისაზრისით, რათა იგინი შეურიგოს თვის უკვე არსებულს სულიერს შინაარს, რომელსაც გარკვეული ნაციონალური კოლორიტი ჰქონდავს.

ამიტომ ახალ სარწმუნოების მიღების დროს ყველა მისი მხარეები (დოგმატიური, ზოგადი იგი და კანონებრივი) ერთნაირს სახეს და ღირებულებას არ წარმოადგენენ მიმღებ ერისთვის. თანახმად ეროვნული სულის ტენდენციისა და თვისებებისა, ზოგი მათგანი მეტს

ყურადღებას იპყრობენ მისგან, შეტად უნიკალური რდებიან და ხდებიან უმთავრეს ხელმძღვანელად მისი ცხოვრებისა; — სხვები კი თითქმის სრულიად იჩრდილებიან. ყველა ეს კი დამოკიდებულია მასზე, რომელ მიმართულებით, რა მოტივებით, რომელ სფეროში ტრიალებს ერის აზრი და გრძნობა, როგორ ისახება მის პსიხიკაში სინამდვილე, რა „ფერისანი“ არიან მისი პრაქტიკული ცნებანი, რა სჭარბობს მის პსიხიკაში—გონება, გრძნობა თუ ნება, თუ იგინი თანაბრად არიან შეთანხმებულნი; — ყველა იმათდა მიხედვით იცვლება მათი სარწმუნოებრივობაც. ამ შემთხვევაში ეროვნული პსიხიკა ემგზავსება მიწის ნიადაგს, რომელზედაც ითესება რაიმე თესლეულობა— „ზოგადი“ იდეები, ცნებანი. ნაყოფის თვისება, მისი გაღვიძება, ზრდა და თვით გემოვნებაც დამოკიდებულია არა მხოლოდ თესლის თვისებაზე, არამედ თვით ნიადაგზედაც, რომელზედაც იგი ითესება და რომელიც პმოსავს მას გარკვეული სახით.

რომ ეს ასეა, რომ სარწმუნოება შთლად ინდივიდუალური მოვლენაა, აქტია, განცდა, რომ მისი გარედან შემოტანა და მიღება ჩვენთვის, როგორც ახალი ცნების მისი პირველი სახით არ შეიძლება, ამას მოწმობს ის ისტორიული გარემოება და აწინდელი სინამდვილე, რომ ვერც ერთმა, ეგრედ წოდებულმა, რელიგიურმა რეფორმატორმა ვერ შესძლო თვისი რელიგიური სისტემა—განცდა მთლად დაწერება მის მიმღევართა შორის თვისი ინდივიდუალური სახით ისე, რომ ყველას ერთნაირ ს სახით განეცადათ იგი. ყოველივე სარწმუნოება დღიდან თვისი დაბადებისა იყოფილი აუარებელ სექტებად და ამ დაყოფაში უმთავრეს რაოდ თამაშობდნენ ინდივიდუალურ—პირველნი ფაქტორები. რეაციურ რეფორმატორ ღრმად ჩინებდეს აღამიანის სულში, მის სამარადისო კვეთებაში და იქიდან ამოკრიფეს ყველა ის მასალა, რომელიც, შემდეგ პირადი ორგანიული განცდისა—პროცესისა, აქციეს მწყობრ რელიგიურ განცდათ და გადმოვცეს მისი აღვზნებული ცეცხლი უსრული აღამიანის ენით. იგინი ხელოვანნი— შემოქმედნი იყვნენ და მათი სარწმუნოება,

სწავლა და ღვთისმეტყველება — იგივე ხელო-
ვნების ქვეყანა — სამეფო, პოეზია, რომე-
ლიც აღუებს ჩვენში და ატკბობს სარწმუნო-
ებრივს გრძნობას ისევე, როგორც პოეზია
საერთოდ ანვითარებს, აღვივებს და ატკბობს
ჩვენში ესტეტიურ გრძნობას მხოლოდ თვით
ეს ტკბობა და განცდა როგორც კერძო ინ-
დივიდუალის, ისე კოლექტიური ინდივიდუ-
ურის მიერ — ერისგან უაღრესად ინდივიდუა-
ლური არიან.

ჩვენი დებულების სრულს გამართლებას
წარმოადგენს რელიგიათა ისტორია.

ღვთისმეტყველი.

თბილისის საეპარქიო ქა- ლთა გიმნაზია.

15 მაისს აღნიშნულ გიმნაზიის საპედა-
გოგიო საბჭოში აღიძრა საკითხი, იარსებოს
მერვე კლასმა, თუ არა, და თუ იარსებოს, რა
ხასიათისა იყოს, საზოგადო განათლების ხელი-
ათი ექნეს, თუ სპეციალური — საპედაგოგო.
ხმის უმრავლესობით გადაწყდა მეშვიდე, მე-
რვე კლასებში გაუქმდეს საპედაგოგიო საგნე-
ბი. ასე რომ დღეის შემდეგ ვინც საეპარქიო
სასწავლებელს გაათავებს, მას აღარ ექნება
მასწავლებლობის უფლება ორც დაბალსა და
არც, მრთ უმეტეს, საშუალო სასწავლებელში.
ეს დადგენილება არ შეფერება დღევანდელ
ჩვენის ქვეყნის ინტერესებს, როგორც საჭი-
როა დიდი რიცხვი კარგად მომზადებულ
მასწავლებლებისა. დღემდის საეპარქიო სასწა-
ვლებელი, სადაც ქართული ენის სწავლება
დაყენებული იყო კარგათ, იძლევოდა სხვა
საქალებო სასწავლებლებთან შედარებით საუ-
კეთესო მასწავლებელთ. უმჯობესი იყო დღე-
საც შერჩენოდა სასწავლებელს თავისი ძვირ-
ფისი უფლება, მასწავლებლების მზადება, რო-
მელიც ჰქონდა დღიდება დაარსებისა, და რო-
მელიც ასე ერთი კალმის მოსმით მოუსცეს

მას. დღეს ეს უფლება ექნება საქალებო გა-
მნაზიებს და ჩვენს სასწავლებელს კი ესპობა.
კრებაზე იყო შემოტანილი წინადაღება, მეშვი-
დე-მერვე კლასებში საზოგადო განათლების
საგნებთან დარჩენილობით საპედაგოგიო სა-
გნებიც, რომელთაც როგორც აქამდე, უნდა
დათმობოდა რამდენიმე გაკვეთილი ამ კლასე
ბში, მაგრამ ეს წინადაღება უარ ყოფილი იქ-
მნა.

ჩვენის აზრით საპედაგოგიო საბჭო ნა-
ჩქარევად და საგნის ყოველმხრივ აუწონ — და-
უწონავად მოიქცა. თუ კი წინად, როდესაც
ექვსი კლასი იყო სასწავლებელში, კურს და-
თავებულებს ნება ეძლევოდათ შასწავლებლო-
ბისაც და, ცოტა შეზღუდვით, უმაღლეს სა-
სწავლებლებში შესვლის უფლებაც, დღეს,
როდესაც სასწავლებელი რვა კლასიანი, უფრო
ადვილად შესაძლებელია, მოწაფეთა მომზადე-
ბა, როგორც საზოგადო განათლებაში, აგრე-
თვე საპედაგოგიოში.

საჭიროა ამ საკითხს მიაქციოს ყურად-
ღება საქათოლიკოს საბჭომ, რომლის გამ-
გეობაში არის, მგონია, საეპარქიო გიმნაზია,
და წინადაღება მიცეს მას შეცვალის თავისი
უკანასკნელი დადგენილება. ეს არ იქნება
გიმნაზიის ავტონომიურ უფლების დარღვევა,
რადგანაც საპედაგოგიო საბჭოს მიერ ასეთი
ძირითადი ცვლილების მოხდენა, უმაღლეს
მთავრობის დაუდასტურებლად, იქნება ეს მთა-
ვრობა სასულიერო, თუ საერთო, ავტონომიას
კი არა, საპედაგოგიო საბჭოს სრულ „სუ-
ვერანობას“ ნიშნავს, ახლანდელი ტერმინო-
ლოგია რომ ვიხმაროთ.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ საპედაგო-
გიო საგნების მოსპობა სასწავლებელში, ჩვე-
ნის აზრით, უნდა ეწინააღმდეგებოდეს რო-
გორც მშობელთა სურვილის, ისე საეპარქიო
კრებებისას.

დამსწრე.

ხელი აუქნიოთ და გავაკ- რთხოთ!

„მფრინველნი მსგავსისა მათისა თანა და ივანებენო“, ამბობს ძველი ალქემის ბრძენი ისი ზირაქი და მი სიტყვებით აღნიშნავს ფრინველთ არსებობიდან იმ სინამდეილეს, რომ ესეთები ისე კი არ არიან ერთმანეთში არეულნი, როგორც ათასგარი ჯიშის მცენარეები ტყეში, ან მინდორში სხვა და სხვა ბალა—ყვავილებში, არამედ ჯვუფდებიან, ერთდებიან და ცხოვრობენ ერთი მეორესთან მხოლოდ ჩამომავლიბისა და ჯიშის მიხედვით. ბელურები, მაგალითად, გროვდებიან და ცხოვრობენ მარტო ბელურებთან, ჭილუვავს ვერ დაინახავთ მტრედების გუნდში, გარეული ბატები არაოდეს არ შეღიან წეროების ჯვუფში და სხ. ყველა ფრინველი რჩეულობს ცხოვრებას და ყოველ დღიურ არსებობას ისეთებთან, რომლებიც მისი ჯიშისა და მსგავსებისანი არიან, რომლებსაც იგი ენიონსავება როგორც ხორცითა და სისხლით, ისე გრძნობებით, ჩვეულებებით და ხასიათის მიმართულებით. ეს არის სინამდვილე და თუ უცნობია ვისოდისმე, უცნობია მხოლოდ იმისთვის, ვინც მოკლებულია უბრალი დაკვირვების ნიჭეს.

ამავე მოვლენას ვამჩნევთ ადამიანთა ცხოვრებაშიაც. ადამიანებიც ჯვუფდებიან, საზოგადოებებს ადგენენ და თანამშრომელობენ უმთავრესად ისეთ ჰირებთან, რომლებშიაც პოულობენ ხასიათისა, აზრებისა და მიმართულების მსგავსება.—ნათესაობას, ასე ვოქვათ,— ამფსონობას. ამ მხრივ დიდათ საგულისხმოა საკათოლიკოსო სასახლის გარშემო „დავანება“ ერთი ჯურის სულიერთა: კარის დეკანოზის, უპოროთფერელო შინისტრ კარდინალ-დეკანზის, კარდინალ არქიმანდრიტის, წერა-კითხვის უკოდინარ სარქიმანდრიტოდ გამზადებულ ბერისა და სხვა მათგვართა.

აღბათ ეს ჰირნი შეაჯგუფა და შეატყუპა ერთი მეორეს მათი გონების, ზნეობის და

მიმართულების მსგავსება-ერთგვარობაში და ვის რა ეგვენის ამისდა საჭინაალმდევო! მაგრამ, მაგარი ისაა, რომ, თურმე ნუ ბძანებთ, ეს საუცხოვო ფრინველები; ზოგნი პირადად, და ზოგნიც სხვა და სხვა ფანდების საშუალებით ხშირათ სასტიკი ერიშებით გამოიდიან საკათოლიკოსო საბჭოს საუკეთესო წევრების წინამდებეგ და გათამამებულნი თავიანთი უხეშობით, ბირში ბურთსა სირიან სიმართლის მომხრეებს. ამის გამო უკანასკნელებს, როგორც საზოგადოებაში ხმები ისმის, გადუშვეტიათ საბჭოს შემადგენელობიდან გასვლა. თუ ეს ხმები გამართლდა, ისედაც დაბეჭავებული ჩვენი ეკლესია პირდაპირ უიმედო მდგომარეობაზი ჩავარდება. ამიტომ მოვუშოდება ქართულ მორწმუნე საზოგადოებას და სამღვდელოებას ახლავე ძალუმად აიმაღლონ თავიანთი გავლენიანი ხდა საეკლესიო მმართველობის საუკეთესო წევრების სასარგებლოდ, ახლავე ხელი აუქნიონ და შორს გააფთხონ სიეკლესიო მმართველობის გარშემო დავანებული ყორნები, თორემ მერე გვიანლა იქნება „თითზე კბენანი“.

—
ბაბასინ.

ღვთის მსახურების შესახებ.

1. სახარების კითხეა.

ყოველ სარწმუნოებაში ღვთის მსახურების (წირვა-ლოცვის) უპირველესი მიზანია ადამიანის ზნეობრივი ამაღლება და გაფაქიზება იმ სწავლამოძღვრების საფუძველზე, რომელსაც აღიარებს ამა თუ იმ სარწმუნოების აღმსარებელნი. ჩვენი სარწმუნოების საფუძველია წმიდა სახარება. მთავარი დანიშნულება წირვა-ლოცვისა უნდა მდგომარეობის სახარების შინაარსის გაცნობაში, შეთვისებაში ხალხის მიერ. ეს დებულება არც ახალია და არც საღავო, მაგრამ საუბედუროდ ცხოვრებაში იგი ძალიან ნაჟღებად სრულდება.

ჩვენი ღვთის მსახურება ისეა შედგენილა, რომ სახარების მნიშვნელობა მასში მეტად, მესამე რიგშია დაყენებული, ასე ვთქვათ, ჩრდილშია მიფას რებული. იმ ღვთის მსახურების წესს, რომელიც მიგვიღია ბერძნებისაგან და რომლის ღირსებაზე ეჭვის მიტანა მომაკვდინებელ ცოდვად და მწვალებლობად იყო და არის მიჩნეული, დავიწყებული აქვს ქრისტიანობის მთავარი საფუძველი. ამ აზრის დასასაბუჟებლად საკმარისია ვთქვათ, რომ სახარების კითხვა სავალდებულოა ყოველთვის მხოლოდ წირვაზე; ცისკარზე იკითხვის არა ყოველთვის და მწუხრზე და სხვა ლოცვაზე თითქმის სრულებით არა. ამ ნაკლს ჩვენმა ეკლესიამ უნდა მიაქციოს ყურადღება და შეავსოს იგი. ქრისტიანულ ღვთის მსახურებაზე სახარება უკველად უნდა იკითხებოდეს. თუ იმას ვიტყვით, რომ წირვა-ლოცვა ამით გაგრძელდება, მაშინ შეიძლება შემოკლდეს ის აუარებელი ტროპარ-კონდაკ-სძლის პირნი, რომელნიც გაუგებრად, ნაჩერევად და პირდაპირ სამარტვინოდ იკითხებიან ეკკლესიაში. მაინც ყველა ის, ხალხისათვის ნაკლებად გასაგები საკითხავები, სახარებასთან შედარებით, შედგენილია მეოთხე საუკუნის შემდეგ, უმთავრესად მეთორმეტე საუკუნემდის. მაშასადამე იგინი არ შეადგენენ აუცილებელ ელემენტს ქრისტიანულ ღვთის მსახურებისას. ჩვენ ვიცით, ქრისტიანობა მეოთხე საუკუნემდის უფრო შემინდათ იყო დაცული და ღვთის მსახურებაც მანამდე უფრო სადად და მასთანვე სასობით სრულდებოდა, ვიდრე შემდეგ დროებში, როდესაც ქრისტიანობაში და მისს საღვთის-მსახურო პრაქტიკაში დაუბრკოლებრივ შემოზღვდა წარმართული ელემენტები.

ამ გვარად ცხადია, ჩვენს წირვა-ლოცვა-ში სახარების კითხვას უნდა დაეთმოს მეტი, უფრო ნათლად რომ ვთქვათ, შუაგული (ცენტრალური) აღვილი. მხოლოდ სახარების საკითხავები უნდა იყოს გადასინჯულნი და იკითხებოდეს უფრო აზრიანად, ვიდრე ეს დღეს

წარმოებს. განსაკუთრებული ყურადღება განაცხადი და მიექცეს იმ ადგილებზე, რომლებიც მათი გამოპატვენ იქსო ქრისტეს სწავლის. ახლა გადვადეთ თვით სახარების კითხვის პროცესზე, კილოზე. ნამდვილი ქართული კილო სახარების კითხვისა ერთნაირ სასოებითს გრძნობას აღძრავს მსმენლების გულში. ქართული კითხვა სახარებისა ბევრად უნდა სჯობდეს სლავურად სახარების კითხვაზე უზომოლრიალს, როდესაც მკითხველი სცდილობს რაც შეიძლება დააყრუოს მსმენლების თვისს თავაგანწირულ ხმა მაღალი ყვირილით. გარდა ჩვენებურ სასოების მომგრელ სახარების წარმოების კითხვას კილოსაც დამატება და შევსება ესა კიროება. ამნაირად წაკითხული სახარება ყველათვის ნათლად გასავება არ არის. ასეთ კითხვის დროს ყველას არ ძალუდს მისდიოს სახარების შინაარსის მიმდინარეობას, ეკარგება ამ შინაარსის ძაფი, გადაღის ფიქრით სხვა საგნებზე ანა და ბოლოს და ბოლოს რინდება და ერკვევა მხოლოდ მაშან, როდესაც კითხვას ათავებენ. თავის თავად სახარების ტექსტი მარტივი და იდვილად გასავებია. ამისათვის შემოღებულ უნდა იქმნეს სახარების წარმომადგრივ წართქმის წესითაც წირვა-ლოცვის დასასრულობა. ამნაირად წაკითხული სახარება უფრო იდვილად შესათვისებელია. თუ მკითხველს აქვს უნარი ასსინსა, თან თავისს განმარტებასაც დაურთავს, თუ არა და უშემობებესია თვით სახარების სიტყვებმა იმოქმედოს უშუამავლოდ კაცის გულზე და გრძნობაზე, რადგანაც უხეირო ქადაგება და ლეპვა სიტყვისა უფრო წაახდენს და შეასუსტებს თვით სახარების სიტყვების ზედ—გავლენას მორწმუნე ადამიანზე.

მდ. ქ. ციცქაშვილი.

გამომცმელი „ახალ სიტყვის“ სარედაქციო კოლლეგის რწმუნებული მდ. ქ. ციცქაშვილი.